

სს „გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სს „გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

სს „გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

| აქტივები                                                    | შენიშვნები | 31-12-23           | 31-12-22           |
|-------------------------------------------------------------|------------|--------------------|--------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 1          | 35,717             | 139,236            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 2          | 1,499,120          | 1,475,756          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 3          | 432,004            | 116,443            |
| მარაგები                                                    |            | 21,522             | 12,104             |
| სხვა                                                        | 4          | 21,522             | 12,104             |
| საინვესტიციო ქონება                                         |            | -                  |                    |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 5          | 25,402             | 6,572              |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                | 6          | 153,074            | 181,299            |
| ძირითადი საშუალებები                                        | 6          | 2,526,848          | 2,278,865          |
| <b>სულ აქტივები</b>                                         |            | <b>4,693,687</b>   | <b>4,210,275</b>   |
| ვალდებულებები                                               |            |                    |                    |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 7          | 1,893,356          | 2,462,015          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                          | 8          | 11,907             | 7,945              |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  |            | 37,766             | -                  |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                  | 9          | 379,327            | 464,075            |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                             | 10         | 2,442,434          | 916,628            |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                             | 10         | 3,078,780          | 2,500,000          |
| სხვა ვალდებულებები                                          |            | 192,007            | 126,524            |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                    |            | <b>8,035,577</b>   | <b>6,477,187</b>   |
| საკუთარი კაპიტალი                                           |            |                    |                    |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                   |            | (3,341,890)        | (2,266,912)        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                |            | <b>(3,341,890)</b> | <b>(2,266,912)</b> |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                      |            | 4,693,687          | 4,210,275          |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                   |            | 1,988,363          | 1,751,405          |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                              |            | 4,956,797          | 4,910,785          |

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია  
2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: 

გიორგი ბერიანიძე



სს „გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია“-ს მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის (ლარში)

| საქმიანობის შედეგები                                                                              | შენიშვნები | 45,291       | 44,926       | 44,561      |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|------------|--------------|--------------|-------------|
| ნეტო ამონაგები                                                                                    | 11         | 13,748,249   | 10,690,768   | 6,651,216   |
| მომსახურების გაწვიდან                                                                             |            | 13,748,249   | 10,690,768   | 6,651,216   |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                         |            | -            | -            | (5,777,918) |
| საერთო მოგება                                                                                     |            | 13,748,249   | 10,690,768   | 873,298     |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                        | 12         | -            | -            | -           |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                          |            | (3,053,161)  | (2,188,209)  | (472,270)   |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                        |            | (490,225)    | (380,954)    | (248,140)   |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                             |            | 27,263       | -            | 596         |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                  | 13         | (622,371)    | (306,314)    | (125,702)   |
| იჯარის ხარჯი                                                                                      |            | (6,222,642)  | (4,962,908)  | -           |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                          | 14         | (4,442,393)  | (3,683,305)  | (694,675)   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                            |            | (14,803,528) | (11,521,690) | (1,540,191) |
| საოპერაციო მოგება                                                                                 |            | (1,055,279)  | (830,922)    | (666,893)   |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით<br>ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 15         | (32,235)     | 429,231      | 58,223      |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                           |            | 12,535       | 10,394       | 27,245      |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე<br>განგრძობითი ოპერაციებიდან                       |            | -            | (391,297)    | (581,425)   |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                            |            | (1,074,978)  | (391,297)    | (581,425)   |

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია  
2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



გიორგი ბერიანიძე





ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31-12-23    | 31-12-22  |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|-----------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | (544,572)   | 1,315,196 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | (755,487)   | (737,477) |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | (1,197,414) | (387,908) |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | (2,497,473) | 189,811   |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | (876)       | (54,814)  |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 139,236     | 4,239     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 35,717      | 139,236   |

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია  
2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



გიორგი ბერიანიძე



## 2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### ზოგადი ინფორმაცია

სს „გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 400202543 დაარსდა 2017 13 აპრილს

კომპანიის აქციონერები 31.12.2023 წლის მდგომარეობით არიან: სს ბაბილო ჰოლდინგი ს/კ 402038576 – 50% და სს პონტო კაპიტალ ს/კ 404471969 – 50%. დირექტორი არის -. ლევან ჩაჩავა კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, თ. ერისთავის #5 კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს მომსახურება.

### ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

### სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

### უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.



1 აშშ დოლარი/ ლარი  
1 ევრო/ლარი

31 დეკემბერი 2023  
2.6894  
2.9753

31 დეკემბერი 2022  
2.7020  
2.8844

#### ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

#### გადასახადები

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

#### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

##### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.



მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გაცვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

#### იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.



საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

### დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დღეის მდგომარეობით კომპანიას დივიდენდი გაცემული არ აქვს.

### სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელიც წარმოშობილია საქონლის რეალიზაციიდან, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

### ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

#### 1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში. 2023 წელს საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდებოდა ლარი -35 716.72. რომელიც შედგება ადგილობრივი და უცხოური ვალუტისაგან (31/12/23 -ის კურსით).

#### 2. სავაჭრო მოთხოვნები

|                            |              |
|----------------------------|--------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1 499 119.89 |
|----------------------------|--------------|

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

### 3. ავანსები

|                                  |            |
|----------------------------------|------------|
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 132 003.62 |
|----------------------------------|------------|

კომპანიის მხრიდან ავანსად განიხილება თანხები, რომელიც წინასწარ აქვს გადახდილი და შესაბამისად საქონელი და მომსახურება არ მიუღია. გაწევა არ შესრულებულა. აღნიშნულ საბალანსო მუხლში ასევე აღრიცხული გვაქვს სარგებლის მისაღებად გაცემული მოკლევადიანი სესხები, რეზიდენტ კომპანიაზე.

### 4. მარაგები

|                                                                                          |           |
|------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი- საწყობში დამხმარე საშუალებები (არაძირითადი საშუალება) | 11 348.32 |
| საწვავის ნაშთი                                                                           | 10 173.71 |

### 5. მიმდინარე აქტივები

|                   |           |
|-------------------|-----------|
| მისაღები პროცენტი | 27 892.83 |
|-------------------|-----------|

სხვა მიმდინარე აქტივები შედგება ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადისგან, გადახდილი საგარანტიო თანხებისგან და სხვა აქტივებისგან.

### 6. ძირითადი საშუალებები

| ძირითადი საშუალებები | თვითღირებულება | დაგროვილი ცვეთა | 2022-ს საწყისი | შეძენა | გასვლა | ცვეთა | საბოლოო საბალანსო ღირებულება |
|----------------------|----------------|-----------------|----------------|--------|--------|-------|------------------------------|
|----------------------|----------------|-----------------|----------------|--------|--------|-------|------------------------------|



|                                        |         |        |         |        |  |        |         |
|----------------------------------------|---------|--------|---------|--------|--|--------|---------|
| მანქანა-დანადგარები                    | 24932   | 5417   | 19515   |        |  | 4981   | 14534   |
| საწყობის აღჭურვილობა                   | 1055107 | 240390 | 814717  | 232974 |  | 153211 | 894480  |
| უსაფრთხოება                            | 71543   | 11606  | 59937   | 50285  |  | 16426  | 93796   |
| ოფისის აღჭურვილობა                     | 36254   | 15301  | 20953   | 10529  |  | 7608   | 23874   |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი                | 60755   | 26695  | 34060   | 15335  |  | 12093  | 37302   |
| საგრანსპორტო<br>საშუალებები            | 1615869 | 392579 | 1223290 | 169505 |  | 212950 | 1179845 |
| იჯარით აღებული<br>ქონების კეთილმოწყობა | 332458  | 40313  | 292145  | 43902  |  | 53030  | 283017  |

- არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

#### 7. სავაჭრო ვალდებულებები

|                       |             |
|-----------------------|-------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 1 893 357.2 |
|-----------------------|-------------|

კომპანიის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები წარმოადგენენ ადგილობრივ საწარმოებს.

#### 8. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

|                  |           |
|------------------|-----------|
| გასაცემი ხელფასი | 11 906.64 |
|------------------|-----------|

#### 9. გამოუმუშავებელი შემოსავალი

|                                              |            |
|----------------------------------------------|------------|
| გამოუმუშავებელი შემოსავალი - მიღებული ავანსი | 379 327.16 |
|----------------------------------------------|------------|

#### 10. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

|                                 |              |
|---------------------------------|--------------|
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | 2 613 796.33 |
|---------------------------------|--------------|

მიმდინარე სესხი და დარიცხული პროცენტი 1 წლის ვადით 2 613 796.33

გრძელვადიანი 1 წელზე მეტი ვადით 3 078 779.54

ძირითადად აღნიშნული სესხები მიღებულია საფინანსო ინსტიტუტებიდან.

#### 14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

|                                                           |                     |
|-----------------------------------------------------------|---------------------|
| <b>საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები</b>                     | <b>11,420,170.0</b> |
| შრომის ანაზღაურება                                        | -3,053,160.5        |
| ჯანმრთელობის დაზღვევა                                     | -18,058.09          |
| საერთო სარგებ. ფართის მოვლა-პატრონობის გადასახადი - ხარჯი | -35,808.34          |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა                               | -490,224.64         |
| ქონების გადასახადი - ხარჯი                                | -23,260.03          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                              | -4,285.68           |
| იჯარის ხარჯი                                              | -6,222,641.69       |
| კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები          | -1,572,731.06       |
| სხვა საერთო ხარჯები                                       | -1,161,378.3        |

#### 15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

|                                                           |            |
|-----------------------------------------------------------|------------|
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან | -32 234.65 |
|-----------------------------------------------------------|------------|

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

#### ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად  
ნებადართულია ღირეუტორის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს.

სს„გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია“

დირექტორი



გიორგი ბერიანიძე

